ჩემი საქართველო

№58-59, მარტი-აპრილი, 2019

საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის გაზეთი მათთვის, ვისაც ცოდნის გაღრმავების სურვილი აქვთ, ლიდეობა სურთ და პროფესიონალიზმს ესწრაფვიან!



პროფესორი

გარი ჩაფიძე: -

რექტორის ტრიბუნა

„რაც უფრო მეტ კაპიტალს დააგროვებს ქვეყანა განათლებაში,მით უფრო ადვილად მიაღწევს წარმატებებს ეკონომიკაში!“

გარი ჩაფიძე – საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორი. ქ. რუსთავის აკადემიური ქალაქის დამფუძნებელი. უნივერსიტეტი მოსკოვში დაამთავრა, სხვადასხვა დროს მსახურობდა სანკ-პეტერბურგში, ჩელიაბინსკში, კიევში, შემდეგ კი – საქართველოში, საპასუხისმგებლო და ნომენკლატურულ თანამდებობებზე. ამჟამად არის ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი, პროფესორი, საქართველოს საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეა“-ს აკადემიკოსი, საქართველოში ეფექტური აზროვნების სკოლის დამფუძნებელი, ქ.ათენის (საბერძნეთი) ეროვნული უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი. ამერიკის შეერთებული შტატების ადამ სმიტის სახელობის აკადემიის ნამდვილი წევრი, ამერიკის შეერთებული შტატების ლინკოლნის უნივერსიტეტის პროფესორი, უკრაინის კადრების საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, ქ. ჩერნიგოვის (უკრაინა) საკადრო პოლიტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის რექტორი. „ფაზისი“-ს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. ამერიკის შეერთებულ შტატებში, პენსილვანიის შტატის ქ. ფილადელფიის საერთაშორისო პოლიტიკისა და მთავრობის ინსტიტუტი გარი ჩაფიძის სახელობისაა. ასევე არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის გაზეთ „ჩირაღდნის“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალის „სკოლა და ცხოვრება“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ლიტერატორთა კავშირის თავმჯდომარე, უკრაინის საერთაშორისო რეგიონალური აკადემიის ქ.რუსთავის საკონსულტაციო ცენტრის დირექტორი, უკრაინის უმაღლესი განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ავტორია 100-მდე მხატვრულ-ლიტერატურული წიგნისა და 90-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც თარგმნილი და გამოცემულია მრავალ ენაზე. არის უკრაინულ-ქართული ლექსიკონის სამტომეულის პირველი შემდგენელი და ოცზე მეტი ლექსიკონის ავტორი, რომელთაც დღემდე მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნიათ. მისი კვლევის სფეროებია: პედაგოგიკა და პედაგოგიკის ისტორია, მოზარდთა ფსიქოლოგია და ფილოსოფიური აზროვნება, პოლიტოლოგია და სამყაროს გარდაქმნის ახალი მოდელი, პოლიტიკა და პიროვნება, პლებისცისტიკა და პოლიტიკური თეორიები, პოლიკაუზალიზმი და კონფლიქტოლოგია, მედიცინა და ბიოეთიკა, კულტურა და აზროვნება, ჟურნალისტიკა და პიარი, ადამიანთმცოდნეობა და პერსონალთა მართვა, პოლიტიკური ფილოსოფია და კატაკლიზმები XXI საუკუნეში. მიღებული აქვს საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობათა ჯილდოები, მათ შორის: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, დავით გურამიშვილის, ვასილი სუხომლინსკის, მიკოლა დუბინის, სახელობის მედლები და პრემიები, „საქართველო-უკრაინის მეგობრობის“, „საქართველო-მოლდოვას მეგობრობის“ „საქართველო – ყაზახეთის მეგობრობის“, „საქართველო-იტალიის მეგობრობის“, „საქართველო-ბელორუსის მეგობრობის“ „საქართველო-საბერძნეთის მეგობრობის“ „საერთაშორისო მეცნიერული მიღწევებისათვის“, „საერთაშორისო მეცნიერული დამსახურებისათვის“ „პედაგოგიური ღირსების“ და სხვა მედლები. არის ქართული პედაგოგიური ელიტის უმაღლესი ჯილდოს – იაკობ გოგებაშვილის სახელობის ორგზის მედალოსანი; ასევე არის წმინდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური ოქროს ჯვრის ორდენის, ,განათლების განვითარებისათვის“ ოქროს ორდენის, ამერიკის შეერთებული შტატების თავისუფლების ოქროს ორდენის, „უკრაინის პატრიოტის“ საპატიო წოდებისა და ოქროს ვარსკვლავის ორდენის, უკრაინის განათლების და მეცნიერების ფლაგმანის საპატიო წოდებისა და ოქროს ორდენის, მსოფლიო მეცნიერების ფუძემდებლის, პლატონის ოქროს ორდენისა და ღირსების ორდენის კავალერი.

– ჭეშმარიტი პედაგოგისათვის აღზრდა ყველაზე უბრალო და ყველაზე პრიმიტიული ხერხით იწყება, მიიღო აღსაზრდელი ისეთი, როგორიც არის, ეს აღმზრდელისათვის აუცილებელი ფენომენია. დიახ, აღსაზრდელს ვერ შეცვლი, რამეთუ ბავშვის აღზრდა დაბადებამდე იწყება, ამ საკითხის განხილვის დროს ბევრი მეცნიერი არ იზიარებს ჩემს აზრს, მაგრამ ლოგიკურობითა და სამედიცინო თვალსაზრისით მართებულია ის, რომ: – ბავშვს ესმის დედის ხმა ჯერ კიდევ დაბადებამდე, ღებულობს ჭრილობას ხმის უხეში ტემბრით, რომლითაც დედამისს მიმართავენ ყვირილით, სკანდალით... მას ტრამვას აყენებს დედის მწუხარება, ნერვიულობა, განცდები... და ბავშვი იბადება ნაწყენი, დამფრთხალი, ავი, ნერვიული... ხოლო „სიყვარულის შვილები“ გამოირჩევიან თანაბარი, მშვიდი, კეთილი ხასიათით.

დიახ, ასეთად ჩნდება ბავშვის სულში ჯერ კიდევ დაბადებამდე კეთილი და ბოროტი გრძნობა. ეს საკითხი ერთ-ერთი ყველაზე ძველი პრობლემაა. ათასზე მეტი წლის წინათ წმინდა ავგუსტინე არ დაეჭვებულა ღმერთის ყოვლისშემძლეობაში, მაგრამ ბავშვის აკვანთან მდგომი წერდა რა თავის ცნობილ „აღსარებას“, ვერ გაეგო საიდან შეიძლებოდა გაჩენილიყო ბოროტება. თუმც ავგუსტინემდე კიდევ უფრო დიდი ხნით ადრე შეიქმნა ბიბლიური მითი – ხე ცნობადისა, ბოროტებისა და კეთილისა... ეს ეთიკური პრობლემა კეთილისა და ბოროტებისა ბავშვების აღზრდისათვის აუცილებელია შევცვალოთ პედაგოგიური პრობლემით – როგორ ჩნდება კეთილი და ბოროტი ვნებები. ჩვენთვის ძნელია ვებრძოლოთ ბოროტ გრძნობებს, სიავეს, სიხარბეს, შურს, აგრესიულობას, უხეშობას. თუ ჩვენ არ გვეცოდინება საიდან ჩნდებიან ისინი ბავშვის სულში, თუ ჩვენ არ გავარკვიეთ მავნე გრძნობების წარმოშობის მექანიზმი. ხშირად ჩვენ თვითონ ვთესავთ მათ ბავშვის სულში, ისე როგორც ანტისეპტიკების აღმოჩენამდე ექიმები არ იბანდნენ ხელებს ოპერაციის წინ და ამით თვითონ ასნეულებდნენ პაციენტს სასიკვდილო დაავადებით...

ადამიანში, ისევე როგორც ყოველ სულიერში, მარტო ერთი უსაფრთხოების მოთხოვნა კი არა, არამედ მასთან ერთად განვითარების მოთხოვნაცაა. ეს მოთხოვნები ურთიერთსაპირისპირო გახლავთ, რამეთუ განვითარება სახიფათოა, ხოლო უსაფრთხოებისაკენ ლტოლვა ამუხრუჭებს განვითარებას. ჩვენ ბუნებრივია ვდარდობთ ბავშვების უსაფრთხოებაზე და განვითარებაზე, მაგრამ ამ სიტყვების რაობაში არ ვგულისხმობთ იმას, რასაც თვით მოზარდი, ისინი მხოლოდ იმით განსხვავდებიან დიდებისგან, რომ მათში განვითარების მოთხოვნა გაცილებით უფრო ძლიერია უსაფრთხოების მოთხოვნაზე და სწორედ აქ იკვრება პედაგოგიური ქვაკუთხედი, რომლის შემადგენელი ნაწილიც საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების ეგიდით შექმნილი სასწავლო ცენტრებია საქართველოს მთელ რიგ რეგიონებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში, ხოლო ქ. რუსთავში, ჩვენი ინსტიტუტის შემადგენლობით „აკადემიური ქალაქი“ დავაფუძვნეთ, სადაც განათლების ყველა საფეხურია შექმნილი, ბაგა-ბაღიდან დაწყებული – დოქტურანტურით დამთავრებული! ყველა ჩვენს სპეციალობაზე, რომელიც დღევანდელი დღის მოთხოვნა, ანდა მომავლის პროფესიაა – სტუდენტთა სოლიდური ნაკადის მიღება მიმდინარეობს, ჩვენთან სასწავლო ცენტრებში სწავლის მაღალი დონე, დაბალი სასწავლო გადასახადის სინქრონულია დიახ, სწავლა სამწლიანია. წელიწადი ორსემესტრიანი და სემესტრული გადასახადი 350 ლარს შეადგენს.

სასწავლებელში მოქმედებს თანხების ეტაპობრივად გადახდა; ასევე 30-50-70 და 100-პროცენტიანი გრანტები; უფრო მეტიც, პირველი კურსის წარჩინებით დახურვის შემთხვევაში, სტუდენტი არა მარტო გათავისუფლდება გადასახადიდან, არამედ, სასწავლო სტიპენდიასაც მიიღებს; საყურადღებოა, რომ სასწავლო თანხის გადახდაში და არა ცოდნაში (გარკვეული რაოდენობა, განსაზღვრული რექტორატის მიერ) შეღავათებით სარგებლობენ; ლტოლვილები, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლები და მათი ოჯახის წევრები, მრავალშვილიანები... და აქვე მნიშვნელოვანი სიახლე! წელს პირველად ქალაქ რუსთავის სასწავლო ცენტრი სტუდენტთა გარკვეულ კონდიდენტს უფასო სექტორზე მიიღებს, მოგეხსენებათ, ფასიან სასწავლო დაწესებულებებში ამ მეთოდის დანერგვა დიდ რისკთან და პასუხისმგებლობასთანა დაკავშირებული, მაგრამ ამ იდეის შესახებ დაახლოებით ათი წლის წინ ვწერდი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მასობრივ ინფორმაციის საშუალებებში, ოთხი წლის წინ კი უკრაინაში ჟიტომირისა და ვინიცის ოლქებში ერთდროულად დაიწყეს აღნიშნული ინოვაციის განხორციელება, რომელიც ჩაფიძის მოდელითაა ცნობილი და რომელმაც რეალური მაჩვენებლები დადო... საქმე სტუდენტთა მესამე შრომით სემესტრს ეხება, ამ სემესტრში ხილის კრეფასა და მის გადამუშავებაში ჩართული სტუდენტები თვითონვე გამოიმუშავებენ სასწავლო გადასახადს, შრომითი სემესტრის ფარგლებში მათ უფასოდ მიეწოდებათ კვება და ექნებათ კომფორტაბელური გარემო გართობა-დავენებისათვის, უფრო მეტიც, სტუდენტებს მათივე გამომუშავებული თანხის ნაწილი პირად ანგარიშზე ჩაერიცხებათ და თავიანთი საჭიროებისამებრ განკარგავენ... დამეთანხმებით, ეს მართლაც საინტერესო სიახლეა საგანმანათლებლო სივრცეში, რომლის განხორციელება წლებია ოცნებად გვრჩებოდა, რამეთუ ჩვენი ბიუჯეტი ამის საშვალებას არასოდეს გვაძლევდა ახლახანს კი უკრაინელი პარტნიორები, ჩვენეული მოდელის, მათთან წარმატებით განხორციელების შემდეგ, დაფინანსებას დაგვპირდნენ... შევიძინეთ რამოდენიმე ჰექტარი ვაშლის ბაღი გორის რაიონის სოფელ შინდისში, ხოლო ქლიავის ბაღები გურჯაანის რაიონში, აღნიშნულ ტერიტორიებზე მოეწყობა სტუდენტთა საცხოვრებელი და კვების ბლოკი, ხოლო რუსთავის აკადემიური ქალაქში სპეციალური საშრობი, ჩვენი სტუდენტების მიერ მოწეული ხილის დასამუშავებლად, რომელიც ჩირის სახით გავა საზღვარგარეთ... ეკონომიკური გათვლებით აღნიშნული დამხმარე მეურნეობები დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებებს.

მოგეხსენებათ, რომ პედაგოგიკა მომავალი თაობის განვითარებასთანაა შერწყმული. მომავალი თაობის განვითარება კი ეკონომიკურ წინსვლასთან, დიახ, რაც უფრო მეტ კაპიტალს დააგროვებს ქვეყანა განათლებაში, მით უფრო ადვილად მიაღწევს წარმატებებს ეკონომიკაში.

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: 3700 ქ. რუსთავი შევჩენკოს ქუჩა №5; (აკადემიური ქალაქი) კორპუსი №4

ტელ: (0341) 22-25-00; 22-45-00; 22-77-77; 25-37-00; 25-39-00; 27-94-00; 27-96-00

ISSN 2298-0369

შეხვედრა საქართველოს პატრიარქთან

უამრავ საჭირბოროტო საკითხს შორის დღეს ჩვენს ქვეყანაში პირველი რიგის პრობლემად მშობლიური ენის მოვლა-პატრონობის, შენახვა გადარჩენის პრობლემა რჩება. ძალზე მწარე და მოუთმენელი ფაქტი სახეზეა-ქართული სკოლებიდან კარგა ხანია გაქრა იაკობის „დედაენა“ და მისი ადგილი დღეს უკვე ყოვლად გაუმართლებელმა სახელმძღვანელოებმა დაიკავეს, რაც ნიშნავს იმას, რომ ქართველი ბავშვი ქართულ სახელმწიფოში,ქართულ წიაღში შობილი და საუკეთესოდ შედგენილი, ეროვნული ცნობიერებით გაჟღენთილი „დედაენით“ კი არა, ხელოვნურად შექმნილი და გამოგონილი, არაბუნებრივი მეთოდე-ბით უნდა სწავლობდეს ქართულ ანბანს, კითხვას და წერას.

ამ მტკივნეული საკითხის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებზე ჩაღრმავება შორს წაგვიყვანს. მთავარია ის რომ ქართველი მოწინავე ინტელიგენცია ბოლოსდაბოლოს გამოფხიზლდა და ამჯერად ხმა ამოიღო. ქვეყნის მთავრობის წინაშე დადგა საკითხი „დედაენის'' სკოლებში კვლავ დაბრუნებაზე.

ამ საკითხით დაინტერესება პირველ რიგში იაკობ გოგებაშვილის სახელობის საქმის და სახელის მიმდევართა პირდაპირი მოვალეობაა. კერძოდ, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირისა, რომელიც ათასობით ქართველ მასწავლებელს აერთიანებს.

იდეა კავშირის გამგეობის სხდომაზე ხაზგასმით გაჟღერდა და პრაქტიკული გზაც დაისახა. საქართველოს ყველა რეგიონიდან მოწვეული პედაგოგების 100 წევრიანი ჯგუფი კავშირის გამგეობის ხელმძღვანელთა ინიციატივით საქართველოს საპატრიარქოს ესტუმრა უნეტარესთან ილია მეორესთან შესახვედრად.

შეხვედრა საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირისა და საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. რუსთავის აკადემიური ქალაქის ეგიდით შედგა, რომლის ყველა მონაწილემ უდიდეს პირად ბედნიერებად მიიღო პატრიარქთან პირისპირ შეხვედრა, მისი დალოცვითა და ქადაგებით.

რაც შეეხება ქართული ენის სიწმინდის დაცვის აუცილებლობას, ეროვნული იდენტობის ღრმად გასაზრებლად იაკობის „დედაენის'' სკოლებში სასწრაფო დაბრუნებაზე, ზოგადად სკოლებში არსებულ პრობლემებზე, ეკლესიისა და სკოლის კავშირის აუცილებლობაზე, სკოლაში რელიგიის, როგორც საგნის აღდგენაზე, ლიტერატურის სახელმძღვანელოების შეცვლის აუცილებლობაზე და მთელ რიგ სხვა საკითხებზე იმსჯელეს საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ, მოადგილემ ლეილა გეგეშიძემ, რუსთავის მე-4 სკოლის დირექტორმა მამუკა ხამხაძემ, თიანეთელმა პედაგოგმა თინა ბანცურმა, ჟურნალისტმა ლია მარტაშვილმა, დეკანოზმა კონსტანტინემ და სხვებმა.

უწმინდესმა მოისმინა ყველაფერი და ბევრის დამტევი ფრაზები წარმოთქვა:-ისე გავატარე მოსწავლეობა რომ არასოდეს მომფერებია მასწავლებელი... თქვენ ძალიან უნდა გიყვარდეთ ყველაზე ონავარი მოსწავლეებიც კი და დიდი სიყვარულით ემსახუროთ თქვენს პროფესიას.

ადამიანს დღეს სამი ვინმე გადაარჩენს, ესენი არიან: პედაგოგი,ექიმი და სასულიერო პირები, თქვენ ღირსეულად უნდა ატაროთ ქართველი პედაგოგის სახელი.

პატრიარქმა შეკრებილთ აღუთქვა,რომ საპატრიარქოში შეიქმნება სპეციალური სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირთან და მუდმივად გაუწევს კონტროლს, რა ბედს ეწევა ქართული „დედა ენა“, რომ იაკობი ისევ დაბრუნდეს ქართულ სკოლებში.

საქართველოს პატრიარქს უწმინდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ პედაგოგთა კავშირის სახელით იაკობ გოგებაშვილის მედალი და მისი სახელობის პრემია გადასცა, რაც პატრიარქის მხრიდან სასიამოვნო ფაქტად იქნა აღქმული.

ათენში ჩვენი ინსტიტუტის წარმომადგენლობა გაიხსნა

საქართველოს მიღმა საქართველოდან ემიგრირებული ადამიანების დაფასების სურვილით საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ, გამგეობის წევრებმა,ლეილა გეგეშიძემ, ბელა ჯანგიძემ, ლია მარტაშვილმა, მაკა სამხარაძემ, ნაზიბროლა კაპანაძემ, გადაწყვეტილება მიიღეს, თანხმობით ეპასუხათ ქართული დიასპორის ხელმძღვანელთა მიწვევაზე,ადგილზე გაცნობოდნენ ყველას და ყველაფერს, რაც, ბუნებრივია ერთდროულად დაახლოებისა და დამეგობრების ახალ ტრადიციებს შობდა ურთიერთობის შემდგომი გაღრმავების და გაფართოებისათვის.

– ასეთი შეხვედრები ტრადიციად უნდა იქცეს და ჩვენ მივესალმებით თქვენს კეთილ და საქმიან გადაწყვეტილებას ,გვიხარია,რომ თანადგომა გამოუცხადეთ თქვენს აქაურ თანამემამულეებს და ყველა აქ მყოფს სიხარული აჩუქეთ იმედი გაუჩინეთ.საქართველოს საელჩო საბერძნეთში საგანგებო მადლობას გიხდით თქვენ და გპირდებათ, მომავალში თავად გახდება ინიციატორი ასეთი შეხვედრებისა ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ემიგრანტ ქართველთა გულის მოსაგებად...

ვუსწრებ მოვლენებს და თითქმის სიტყვა-სიტყვით გადმოვცემ იმ გამოსვლის შინაარსს, რომელიც სპეციალურად გამართულ ღონისძიებაზე წარმოთქვა ქართველმა დიპლომატმა, საქართველოს სრულუფლებიანმა ელჩმა საბერძნეთში, ბატონმა იოსებ ნანობაშვილმა. აქვე იმსაც დავსძენ, რომ სულით ხორცამდე ამ ქართული ცნობიერების კაცს (წარმოშობით ქიზიყელს,ანაგელს და ერთდროულად ძალიან საინტერესო პაპის შვილიშვილს, (სწორედ მის წინაპარს მიუღია მონაწილეობა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის დაფუძნებაში) უდიდესი განათლების პატრონს ფრიად საინტერესო დიპლომატიურ სამსახურებში ნაღვაწს, ქართველებითა და ბერძნებით სავსე დარბაზში სტუმარ-მასპინძელს შორის თავი სრულიად უბრალოდ ეჭირა და სიყვარულს არა პოზირებული დიპლომატიური ღიმილით, არამედ ჭეშმარიტი შინაგანი განწყობით ავლენდა, განსაკუთრებით ბავშვებისა და სტუმრების მიმართ.

ამ ფაქტს ისიც უნდა დავუმატოთ, რაც ქართველმა თანამემამულეებმა გვითხრეს, ეს ჩვენებური კაცური კაცი თურმე მუდმივ ყურადღებას იჩენს მათ მიმართ და შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს აკეთებს თვისტომელთათვის. ელჩმა ხაზგასმით გამოხატა მადლიერება რევერანსებით ჩვენს დელეგაციასთან დამოკიდებულებაში კულუარებშიც და საგანგებოდ გვთხოვა მისი სახელით მივესალმოთ რუსთავსა და რუსთაველებს, წარმატებები და აღმშენებლობა ვუსურვოთ მარადჟამს.

ახლა უფრო თანმიმდევრობით: კომპანია „ვიზიარის“ თვითმფრინავმა ათენის აეროპორტში იქაური დროით 10 საათზე ჩაგვიყვანა. 12 საათზე ღონისძიება იწყებოდა. დახვედრისთვის ყველაფერი კორექტულად იყო გათვლილი: გაცილება, ტრანსპორტი, სასტუმროში დაბინავება...

სკოლის ე.წ საიუბილეო ღონისძიება ერთ-ერთი საუკეთესო თეატრის დარბაზში ჩატარდა და მას ბევრი, ფაქტთან დაკავშირებული თუ უცხო, დაინტერესებული ადამიანი დაესწრო.

ღონისძიებისა და ამ მიწვევის მთავარი ორგანიზატორი ქალაქ ათენის, ვახტანგ მეექვსის სახელობის ქართული საკვირაო სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და დირექტორი, წარმატებული ქართველი ემიგრანტი ქალის ნომინანტი დარეჯან ღამბაშიძე იყო, რომელმაც სამი საათის განმავლობაში შესაშური ენერგიით და გონიერებით უხელმძღვანელა საგანგებოდ გათვლილ პროგრამას და ამ პროგრამაში ისე ააწყო ყველაფერი, რომ სტუმრებსა და მასპინძლებს თავი ერთნაირი ღირსებით ეგრძნოთ და სიყვარულით ჩახუტებოდნენ ერთურთს. საკონცერტო ნომრებს და ოფიციალურ გამოსვლებს მაყურებელი აპლოდისმენტებით ხვდებოდა: სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ემიგრანტი ქართველი პედაგოგები და მოსწავლეები, რომლებიც გასაოცარი მომხიბვლელობით მღეროდნენ და ცეკვავდნენ ჩვენს ეროვნულ ცეკვებს. სცენაზე ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი მიიწვიეს, მან საგანგებოდ მომზადებული სიტყვის თქმის შემდეგ ოფიციალურად – იაკობ გოგებაშვილის მედლებით, პრემიით, ღირსების სიგელებით დააჯილდოვა ამ სკოლის ხელმძღვანელები და რიგითი პედაგოგები, მანვე, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ მასპინძლებს გადასცა საქართველოდან ჩატანილი ქართული წიგნები, დედაენის ძველი გამოცემები, სხვადახვა სახის სუვენირები და მადლობა გადაუხადა სათვისტომოს ათენში მიწვევისათვის.

ამ სამთავრობო დონის ღონისძიებაზე იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარეს აკადემიკოს გარი ჩაფიძეს ბოლო ათწლეულის მანძილზე გაწეული ეროვნული საქმიანობისათვის,რაც იაკობ გოგებაშვილის სახელს უკავშირდება, მიენიჭა ქალაქ ათენის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის წოდება სწორედ აღნიშნული ღონისძიების ფორმატში გადაწყდა ქალაქ ათენში, ჩვენი, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის წარმომადგენლობის გახსნა, რომელსაც ადგილზე ათენის ქართული სახლის დირექტორი, ბრიუსელში ქართველ ემიგრანტთა საერთაშორისო ცენტრის დამფუძნებელი, წარმატებული ემიგრანტი ქალის წოდების ნომინანტი პროფესორი დარეჯან ღამბაშიძე უხელმძღვანელებს.

შეხვედრა ჟიტომირის მერიაში

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარე, აკადემიკოსი გარი ჩაფიძე, სამუშაო ვიზიტით უკრაინის ქალაქ ჟიტომირის უმაღლესი სამთავრობო რანგის ხელმძღვანელს შეხვდა საოლქო კომიტეტსა და ქალაქის ადმინისტრაციაში, სადაც სხვადასხვა სახის ათამდე მემორანდუმს მოეწერა ხელი, საყურადღებო ის გახლავთ, რომ მ/წლის სექტემბრიდან, ჩვენი, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი ქალაქ ჟიტომირში თავის სასწავლო ცენტრს აფუძნებს.

დიდი პატივია ჩვენი ქვეყნისა და საქართველოს ერთობლივი სასწავლო ცენტრის გახსნა, მითუმეტეს საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ეგიდით, რომელსაც თქვენ, უკრაინელი ერის დიდი მოამაგე და პატრიოტი უდგახართ სათავეში, ამიტომაც გვწამს, ბატონო გარი, ამ ცენტრის მიმანმიმართულებისა და უმაღლეს დონეზე ფუნქციონირების გარდაუვალობა-აღნიშნა ადგილობრივი ტელევიზიის პირდაპირ ეთერში ქალაქ ჟიტომირის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ქალბატონმა ვიქტორია კრასნოპირმა რომელიც ქალაქის საბჭოს დეპუტატის ივანე მარტინჩუკის მხარდაჭერით მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სამეცნიერო საკითხების შესახებ მოუთხრობდა მილიონობით აუდიტორიას.

აკადემიური ქალაქის ბენეფიციარ ბავშვთა დღის ცენტრს საბავშვო პოეტი სტუმროდა

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქალაქ რუსთავის აკადემიური ქალაქის ბენეფიციარ ბავშვთა დღის ცენტრს საბავშვო პოეტი ლია ბეჟანიშვილი მას შემდეგ ესტუმრა, რაც გაიგო, რომ მის საბავშვო წიგნებს ეს გოგო-ბიჭები დიდი სიამოვნებით კითხულობენ და ლექსებს ზეპირად იმახსოვრებენ. ინიციატივის ავტორები აკადემიური ქალაქის რექტორი აკადემიკოსი გარი ჩაფიძე და ბენეფიციართა პედაგოგი მაკა გოგობერიშვილი იყვნენ.

სტუმარ-მასპინძელობა შედგა იმ ულამაზეს დარბაზში, სადაც ყოუველდღე უხდებათ ყოფნა ბენეფიციარ ბავშვებს. მათ აქ საუკეთესო პირობები აქვთ სწავლისა და დასვენებისთვის კვებით მეცადინეობით და გასართობი ღონისძიებებით.

შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა პოეტის შემოქმედებით ნიჭიერებაზე, მის არაერთგზის გამარჯვებაზე ლიტერატურულ შემოქმედებით კონკურსებში, ზოგადად, მის პიროვნებასა და განვლილ გზაზე,

პოეტმა და ბავშვებმა არა ერთი ლექსი წაიკითხეს, უამრავი გონივრული შეკითხვა დაუსვეს სტუმარს, ისიამოვნეს, გაერთნენ, და ბევრი რამ ისწავლეს კიდეც.

ასეთი შეხვედრები ბენეფიციარებთან ტრადიციად იქცევა.

თერჯოლა

კიდევ ერთხელ!

კიდევ ერთი ლამაზი ფურცელი ჩაიწერა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთერთობათა ინსტიტუტის თერჯოლის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრის ისტორიაში; კიდევ ერთხელ იგრძნობოდა საზეიმო განწყობა ჩვენს კოლეჯში; „კიდევ ერთხელ“ „კიდევ ერთხელ“... და მინდა რომ ეს კიდევ ერთხელ არ დაილიოს ჩვენი სასწავლო ცენტრისთვის. დიახ, კიდევ ერთი აქტივობა განხორციელდა, რომლის ინიციატორი გახლდათ პროფესიით ექიმი-ფარმაცევტი, ჩვენი სასწავლო ცენტრის ლექტორ-მასწავლებელი – ეკა ქარქაშაძე. უნდა ითქვას რომ, აქტივობის განხორციელების იდეა დაიბადა, არც მეტი, არც ნაკლები სამეგრელოში ჩვენი ვოიაჟის დროს. იდეა მდგომარეობდა შემდეგში: ქალბატონმა ეკამ სამედიცინო ფაკულტეტის პირველი და მესამე კურსის სტუდენტებს საჩუქრად გადასცა პირველადი დახმარების აუცილებელი ნივთები და ეკიპირების საგნები, ჩვენ მხოლოდ ორგანიზაციული საკითხები მოვაგვარეთ. სასიამოვნო სანახავი იყო ჩვენი სტუდენტების ბედნიერი სახეები, რომელთათვისაც ეს აქტივობა სიურპრიზს წარმოადგენდა.

„თერჯოლის სასწავლო ცენტრი, ანუ, როგორც მას ვუწოდებთ, ჩვენი კოლეჯი-ეს არის ადგილი, სადაც ვგრძნობ, რომ ადამიანებს ადამიანური სახეები აქვთ; ეს არის კოლექტივი, რომელთა წევრებს შორის ურთიერთობა ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთსიყვარულზეა აგებული; აქ ყველას სუფთა და უანგარო გულებით უყვართ ერთმანეთი. ძალიან მიყვარხართ ყველანი. მეამაყება, რომ მეც ამ პატარა, მაგრამ სულით ლამაზი გუნდის წევრი ვარ“.

ეს გახლავთ ჩვენი პედაგოგი იამზე ბოჭორიშვილის გულიდან ამოსული სიტყვები, რომელსაც ვერაფერს დავამატებ.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორს აკადემიკოს გარი ჩაფიძეს. პირადად ჩემთვის და თერჯოლის სასწავლო ცენტრის თითოეული პედაგოგისთვის ძალიან დიდი პატივია მსოფლიო დონის მეცნიერთან ისეთ პიროვნებასთან ურთიერთობა, როგორიც ბატონი გარი ჩაფიძეა. აღნიშნული სასწავლებლის თერჯოლაში დაფუძნებით მან სრულიად ახალი პერსპექტივები გადაუშალა თერჯოლასა და თერჯოლელ ახალგაზრდებს, სწავლის მოყვარულებსა და სპეციალობის დაუფლების მსურველებს. იმედია, რომ ამას ჩვენ, თერჯოლელები, ღირსეულად დავაფასებთ და საქმით ვუპასუხებთ. მით უფრო, რომ ეს არის, პროფესიული განათლების ერთადერთი კერა ჩვენს მუნიციპალიტეტში. დასასრულს მინდა დავესესხო ბატონ გარის და ჩემი მოკრძალებული წერილი ისევ და ისევ მისივე სიტყვებით დავასრულო: „იყო წარმატებული, არ არის პრივილეგია, ეს პასუხისმგებლობაა!“ – ჭეშმარიტად რომ ასეა!

ეთერი ტურავა
ქალაქ თერჯოლის სასწავლო ცენტრის
განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი

თბილისი

„ის უჩვეულია მამულსა...“

ამ დღეებში ქალაქ თბილისის სასწავლო ცენტრში მისულს სასიამოვნო სიურპრიზი დამხვდა- ჩვენს კურსდამთავრებულს ოთარ კვერცხიშვილს, სასწავლო ცენტრის მოსანახულებლად შემოევლო და მიცდიდა, რადგან ჩემს უნახავად წასვლა არ უნდოდა. იგი სამი წლის წინ გახდა ჩვენი სტუდენტი და მიზანსწრაფული, გონიერი, სიკეთით სავსე ახალგაზრდა მალე მთელი სასწავლო ცენტრის ლიდერად იქცა. დღეს იგი სამხარეო პოლიციის დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ საფარლოს განყოფილების უფროსია.

ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისაგან მადლობის სიტყვებს ვისმენთ მე და ჩემი კოლეგები: ირა ონიანი, თამარ გოცირიძე, ეკა უკლება დარეჯან იმერლიშვილი... თუმცა ეს მადლობა უპირველესად ეკუთვნის საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორს, პროფესორ გარი ჩაფიძეს რომელმაც დააფუძნა სასწავლო ცენტრი ქალაქ თბილისში და საქართველოს ოცდარვა რეგიონში და ბატონ დავით ბერიძეს-ქალაქ თბილისის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსს.

ბედნიერი ვარ,რომ მოვხვდი ისეთ პედაგოგიურ კოლექტივში, სადაც ყევლა თანასწორია, სადაც საერთო გულისთქმა, საერთო საქმე და ერთი მიზანი გვაქვს-დავეხმაროთ, ვერდით დავუდგეთ, მეგზაურობა გავუწიოთ იმათ, ვისაც ცოდნის გაღრმავების სურვილი აქვთ, პროფესიონალიზმს ესწრაფვიან და ლიდერობა სურთ.

ბედნიერი ვარ, რომ ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდას ვემსახურები ისეთ კოლექტივში, სადაც პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა უმაღლესი მოვალეობაა, სადაც ურთიერთპატივისცემა და თანამშრომლობაა.

თინა ბანცური,
ქალაქ თბილისის
სასწავლო ცენტრის პედაგოგი.

პოლონეთი ჩვენი მხარდამჭერია...

საქარველოსა და პოლონეთის მეგობრობა, შეიძლება ითქვას, რომ ზენიტშია, ეკონომიკის, მრეწველობის, კულტურის, მეცნიერების, განათლების სფეროში ჩვენი ხალხის ურთიერთობათა პოტენციალს ზღვარი არ აქვს, საყურადღებოა, რომ ჩვენმა, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორმა, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარემ გარი ჩაფიძემ უდიდესი პირადი წვლილი შეიტანა ამ ორი ერის კიდევ მეტად დაახლოების საკითხში ქართულ-პოლონური ლექსიკონის შექმნითა და პოლონურ ენაზე გამოცემული დეტექტიური წიგნით „სიყვარულის საიდუმლო“ რომელიც პოლონეთში, ლამის სამაგიდო წიგნად გადაიქცა, ეს არცაა გასაკვირი, პოლონელები დღეისათვის მსოფლიოში ყველაზე მკითხველი ერია, დიახ წიგნიერება ყოველივე სიკეთის საწყისია და იგი განათლებიდან, რომ იღებს სათავეს ეს კარგად იციან ვარშავაშიც, კრაკოვშიც და გდანსკშიც... ამიტომაც საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის წარმომადგენლობის გახსნას გულთბილად დაუჭირეს მხარი ადგილობრივებმა და ამ საკითხზე გაფორმებულ მემორანდუმს სიამაყით მოაწერა ხელი პოლონეთის განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა, პროფესორმა სტეფან ვიელსონმა და დასძინა, რომ პოლონეთის რესპუბლიკა ყოველთვის საქართველოს მხარდამჭერი იქნება.

შეხვედრა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრთან

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედადაგოგთა კავშირის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ და მისმა მოადგილემ ლეილა გეგეშიძემ კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა განახორციელეს ფრიად საჭირბოროტო საკითხზე საქართველოს განათლებისა, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მიხეილ ბატიაშვილთან.

შეხვედრაზე ხაზგასმით გამახვილდა ყურადღება დედაენის სკოლებში დაბრუნების თაობაზე, იმ საქმიანობაზე, რასაც ეს საზოგადოება ეწევა ეროვნული მიმართულებით, რის შესახებ საუბრისას აშკარად გამოიხატა მინისტრის კეთილგანწყობა და დაინტერესება კონკრეტული დახმარების სურვილებთან და მიზნებთან ერთად.

მინისტრი დაინტერესდა და ამომწურავი ინფორმაცია მიიღო საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტისა და ქ. რუსთავის აკადემიური ქალაქის შესახებ, ყურადღებით მოისმინა ის თემაც, რომელიც ამ საგანმანათლებლო ქალაქში მასწავლებელთა სახლის გახსნის იდეას ეხება. მან შეხვედრისას მხარი დაუჭირა იდეის განხორციელებას და ისიც აღნიშნა, რომ ასეთი სახლის გახსნა ქვემო ქართლის რეგიონში საგანმანათლებლო სიბრტყეზე არსებული პრობლემების გასარკვევად და დასაძლევად – ძალიან აუცილებელი და დროულია.

ამ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მინისტრი საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. რუსთავის აკადემიურ ქალაქს აუცილებლად ეწვევა.

ზოგადად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი უშუალო და თავისუფალი ადამიანია კომუნიკაციის შესაშური უნარებით, რაც ყველა კატეგორიის სტუმარს მინისტრის კაბინეტში თავისუფლების ხარისხს ანიჭებს.

ლია მარტაშვილი,
ინსტიტუტის პრეს. ცენტრის ხელმძღვანელი.

პროფესორი აიგულ მუკაშევა: –

„ასტანაში, საქართველო უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის წარმომადგენლობის გახსნა, ყაზახეთის პედაგოგიურ-სამეცნიერო ელიტისთვის დიდი შენაძენია!“

გულთბილ ვითარებაში წარიმართა სამუშაო შეხვედრა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთერთობათა ინსტიტუტის რექტორ აკადემიკოს გარი ჩაფიძესა და ყაზახეთის განათლების დამსახურებულ მუშაკთან, ყაზახეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელ, პროფესორ აიგულ მუკაშევას შორის, რომელსაც ასევე საქართველოსა და ყაზახეთის სამეცნიერო დელეგაციათა წევრები ესწრებოდნენ, სწორედ აღნიშნულ შეხვედრაზე გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის სხვადასხვა მიმართულებათა მემორანდუმები, რომლის ფარგლებშიც ქართული დელეგაცია ყაზახეთის დედაქალაქში, ასტანაში იქნა მოწვეული, ჩვენი ინსტიტუტის წარმომადგენლობის გახსნითი პროგრამით, ყაზახეთის განათლებისა და მეცნიერების მუშაკთა გაერთიანებული პროფკავშირების თავმკდომარემ, პროფესორმა ერნარ იმანბაევმა აღნიშნა, რომ, – ქართული დელეგაციის სტუმრობა კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს ამ ორი ერის მეცნიერული ბირთვის დაახლოებას... – თავის მხრივ აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ, ვალდებულება აიღო, რომ აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში, იგი ქართველ და ყაზახ ხალხს ურთიერთდაახლოების ახალ ეტაფზე გადასვლას შესთავაზაბს ამ ორი ერის, დღემდე ანალოგის არმქონე ლექსიკონის შექმნით, რამეთუ ქვეყნის მთავარი სახელმძღვანელო ენაა, ამიტომაც ქცევებისათვის ხალხს უნდა მივმართოთ, ხოლო გაგებისთვის ხალხის ენას! ენას რომლის სიტყვათა განმარტება ლექსიკონია!

ლაგოდეხი

წარმატებული შედეგებით

გასული სასწავლო წელი ჩვენთვის, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქალაქ ლაგოდეხის სასწავლო ცენტრისათვის მართლაც-და პროდუქტიული გამოდგა, ჯერ იყო და ახალი სასწავლო წელი ახალ შენობაში დავიწყეთ, რომელიც მართლაც დიდი ხნის ოცნების ასრულება გახლდათ, ამ სიხარულს ერთნაირად ვიზიარებთ როგორც ადმინისტრაცია ისე პედაგოგები და სტუდენტები, უმოკლეს ვადებში აშენებული შენობა, არა მარტო ჩვენი რაიონის,არამედ მთელი კახეთისთვისაც უდიდესი შენაძენია- ნათელი, ლამაზი, კეთილმოწყობილი, სუფთა, კომფორტული აუდიტორიები... დამატებითი სტიმული გახდა სტუდენტთა სწავლის მოტივაციის ასამაღლებლად და ამ შედეგმაც არ დააყოვნა, წარმატებით ჩატარებულ საგაზაფხულო სესიებს, ფეხდაფეხ სტუდენტთა მეჩვიდმეტე სამეცნიერო კონფერენცია მოჰყვა, რომლის პირველ ტურში ჩვენი ცენტრის რამოდენიმე სტუდენტმა რუსუდან გაფრინდაშვილმა, ნინო ქორთიევამ და ანა წიქარიშვილმა გაიმარჯვა და მეთვრამეტე სამეცნიერო კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა, სადაც საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთერთობათა ინსტიტუტის ოცდარვა რეგიონის სასწავლო ცენტრის სამოცდაათზე მეტი სტუდენტი იღებდა მონაწილეობას და აქ პირველობა არავის დაუთმო ლაგოდეხელმა, ჩვენი ცენტრის სიამაყემ-ნინო ქორთიევამ, რომელსაც სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსთან და საგნის პედაგოგთან სოფიკო ტაბატაძესთან ერთად, უკრაინის მხარის სრული დაფინანსებით წილად ხვდა ქალაქ კიევში გამგზავრება და პედაგოგთა საერთაშორისო კონგრესში მონაწილეობა იქ მიღებული განცდები შთაბეჭდილებები, ახალი გაცნობები, უსაზღვრო და დაუვიწყარია...

უღრმესი მადლობა ინსტიტუტის რექტორს აკადემიკოს გარი ჩაფიძეს ჩვენთვის ნაჩუქარი ულამაზესი დღეებისათვის და იმ კეთილი, მადლიანი, ფასდაუდებელი შრომისა და ღვაწლისათვის, რომელსაც იგი მომავალი თაობის აღზრდისთვის ეწევა...

ოთარ ხაზარაძე,
ქალაქ ლაგოდეხის სასწავლო ცენტრის
განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი.

დედას

დაბადებამდე უფლის ნებით დედა და შვილი
ერთარსებაა, ერთი სხეული, ერთი სულია,
გარკვეულ დრომდე ერთად ცხოვრობენ,
კვლავ უფლის ნებით
გზას ირჩევენ და დიდი ტკივილით გაიყრებიან.

გაჩენის დღიდან ჩავეხუტები დედის თბილ უბეს,
ერთარსებობა უსასრულოდ ისევ გრძელდება
და მოზღვავებულ მონატრებას
ზრუნვას და განცდებს,
მთლად დაუპყრია მგრძნობიარე დედის არსება.

მონატრებულ შვილს ხელგაშლილი ღიმილით მხვდები,
„სადა ხარ გოგო,მომენატრე, რად იგვიანებ.
როცა მივდივარ, ეზოს ჭიშკართან ისევ მომძახი
როდის ჩამოხვალ რავა იმგზავრებ,
აბა შენ იცი, შემეხმიანე“

პედაგოგის შემოქმედება

დიდი ხანია ეს კითხვები და პასუხები
არავის ესმის არავინ მკითხავს, ვის ვუპასუხო,
თავს ვინუგეშებ, მეც მომიწევს, მაგრამ არ ვიცი
როდის გავყვები მარადისობის
გზას ტკივილიანს და უსასრულოს.

შენ კვლავ შემხვდები დედა, ვიცი,
სიხარულით მე აღარ მკითხავ
მენატრებოდი გოგო, რატომ დაიგვიანე?
ცრემლმორეული მისაყვედურებ,
რატომ იჩქარე, რატომ მოხვედი,
ეს გაფიქრებაც გულს მიკლავს და მაღიზიანებს.

ნინელი ცხვედაძე
ქ. რუსთავის სასწავლო ცენტრის
პედაგოგი

ისინი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების გამარჯვებულები არიან

საკუთარ თავთან გამოცდა წარმატებით ჩავაბარე...

ადამიანის ცხოვრებაში ოდესღაც დგება ის მომენტი, როცა ხვდები, რომ საკუთარი თავი უნდა გამოსცადო...

ყველაფერი ასე დაწყო, სტუდენტთა მეცხრე სამეცნიერო კონფერენციისათვის თავისუფალი თემის დაწერა დამავალა კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის პედაგოგმა, ბატონმა დავით ბერიძემ. კომპიუტერი ყოველთვის ჩემი გატაცების ობიექტი იყო, გადავწყვიტე, ანიმაციაზე დამეწერა თემა, თუმცა გამარჯვების ამბიცია ნამდვილად არ მქონია. როდესაც წარვადგინე ჩემთვის საინტრესო საკითხი ჟიურის წინაშე, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა, აუდიტორიისაგან,ჩემს გასაოცრად,აპლოდისმენტები დავიმსახურე. იმ დღის გამარჯვებულად მე დამასახელეს. ერთ წარმატებას კი,მეორე მოჰყვა, როცა თვრამეტი ფილიალის სამასზე მეტი სტუდენტიდან გამარჯვებულების კონკურსზე გავედი, სადაც ოცდარვა სტუდენტს შორის, მე გავხდი ის რჩეული, რომელიც უკრაინაში უნდა გამგზავრებულიყო სამოგზაუროდ უფასოდ პედაგოგთან ერთად. ეს იყო ჩემი ცხოვრების პირველი დიდი წარმატება, თავი სიზმარში მეგონა... სანამ თვითმფრინავის ბილეთი ხელში არ დავიჭირე, მანამდე არ მჯეროდა, რომ ეს ყველაფერი ჩემს თავს ხდებოდა.

აეროპორტში ჩემს გასაცილებლად, ჩემი ახლო მეგობრები და ნათესავები შეიკრიბნენ. ენით ვერ გადმოვცემ იმ ემოციას რასაც თვითმფრინავის აფრენის მომენტში განვიცდიდი, თითქოს ვემშვიდობებოდი ჩემს ძველ ცხოვრებას და ვიწყებდი, ახალ დამოუკიდებელ, მიზანდასახულ, ენთუზიაზმით სავსე ცხოვრებას, რომელმაც დიდი გაკვეთილი მომცა, დიდი გამოცდილება მივიღე და რაც მთავარია, გამიჩნდა საკუთარი თავის რწმენა...

უკრაინამ ჩემზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა, იქაური ხალხის მასპინძლობამ კი, ნამდვილად გამაოცა. არ მეგონა, ქართველი ხალხის მსგავსი დახვედრა სხვაგანაც თუ შეეძლოთ, როდესაც ბორისპოლის აეროპორტში ჩავფრინდით, დიდი პატივით მიგვიღეს.დავინახე,როგორი სიყვარულითა და პატივისცემით ხვდებოდა უცხო ქვეყნის ხალხი ჩვენი სასწავლებლის რექტორს, უკრაინის საპატიო მოქალაქეს, პროფესორ გარი ჩაფიძეს. ქალაქ ჩერნიგოვის სასტუმრო „ბრიანსკში“ დავბინავდით, ყოველდღე ექსკურსიებზე დავდიოდით, დავათვალიერეთ ქალაქ კიევის ღირსშესანიშნაობები,აღფრთოვანებული დავრჩი ლავრის სამონასტრო კომპლექსით, ვნახე ქალაქ კიევის უნივერსიტეტები...ეს დღეები ჩემთვის დაუვიწყარი იქნება მთელი ცხოვრება. რომ არა „საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი“. ეს ბედნიერი დღეები ვერ მექნებოდა დიდი მადლობა ბატონ გარი ჩაფიძეს იმისათვის რომ სტუდენტებს სწავლას უფასებს და აძლევს სწავლის მეტ სტიმულს. ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, ვურჩევდი ყველა სტუდენტს, ჰქონდეთ საკუთარი თავის რწმენა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ყოველწლიურ სამეცნიერო



კონფერენციებში, გაიმარჯვონ და განიცადონ ის ენით აღუწერელი სიამოვნება რაც პირადად მე,რამეთუ მათაც საკუთარი თვალით ნახონ წარმატებასთან ერთად დიდი სიხარული.

ამირან ღლიღვაშვილი
ქ.რუსთავის სასწავლო ცენტრის
კომპიუტერული ტექნოლოგიების
სპეციალობის კურსდამთავრებული, 2016 წელი

ცხადში ახდენილი სიზმარი

ღმერთმა ხილული სამყარო დიდი სიყვარულის გამო შექმნა და ამ სამყაროს გვირგვინად თავის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანი დაადგინა. ამ დიდი სიყვარულის გამო უფალი ადამინს ყოველდღიურად აძლევს უამრავ სიხარულს. თითოეული ჩვენთაგანის ცხოვრებაში ბევრია ასეთი გამორჩეული დღეები,რომლებიც წარუშლელ კვალს ტოვებენ ჩვენს მეხსიერებაში. ერთ-ერთი ასეთი დღე გვიბოძა უფალმა, ეს იყო სტუდენტთა მე-11 სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ჩატარდა საქართველო უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტსა და მასთან არსებულ ყველა სასწავლო ცენტრში,რომელთა რაოდენობაც ოცდაათამდეა.

ასეთი ცენტრი ქალაქ ჭიათურაშიც არსებობს,სადაც100-ზე მეტი სტუდენტი ღებულობს სწავლა-განათლებას, ეუფლება მომავალ პროფესიას.

მიღებული ცოდნის გამოსავლენად ყოველწლიურად ტარდება სასწავლებლებში სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, რომელშიც ჭიათურელმა სტუდენტებმაც მივიღეთ მონაწილეობა, ავირჩიეთ თემები და შევუდექით მზადებას. ჩემი თემა გახლდათ „ორგანიზმში წამლის შეყვანის გზები“ თემის მომზადებაში დამეხმარა პედაგოგი ანა საღირაშვილი.

სტუდენტები დიდი მღელვარებით მოველოდით ამ კონფერენციის შედეგებს, რომელმაც არ დააყოვნა და მე-11კონფერენციაში ქალაქ ჭიათურის სასწავლო ცენტრიდან გამარჯვებულად მე დამასახელეს,რაც ძალიან მოულოდნელი და სასიხარულო იყო.ამავდროულად ეს იყო წინაპირობა იმისათვის რომ,მე-12 სამეცნიერო კონფერენციისათვის დამეწყო აქტიური მზადება.

და აი... სხვადასხვა სასწავლო ცენტრებიდან გამარჯვებულებმა მონაწილეობა მივიღეთ შემაჯამებელ მე-12 სამეცნიერო კონფერენციაში, რომელიც რუსთავის აკადემიურ ქალაქში გაიმართა. გამოგიტყდებით რომ ძალიან ვღელავდი,რადგან გამარჯვებულთა შორის გამარჯვებული უნდა გამოევლინათ,ყველას სურდა წარმატების მიღწევა, მაგრამ მე გავიმარჯვე,პირველი ადგილი ავიღე და თავი ზღაპარში მეგონა.

შევუდექი უკრაინაში გამგზავრების სამზადისს. ქალაქ კიევში პირველი სემესტრის შუა პერიოდში 22ოქტომბერს გავფრინდით, სადაც ჩვენი დელეგაცია დიდი პატივით მიიღეს. სათანადო სიტყვებით ვერ გადმოგცემთ პროფესორი გარი ჩაფიძის მოღვაწეობას უკრაინაში და მისადამი უკრაინელი ხალხის პატივისცემას, რომელიც ყოველ ნაბიჯზე წინ გვხვდებოდა.

ვნახე უამრავი ღირსშესანიშნაობა: მოვილოცეთ ქალაქ კიევის ლავრა, წმინდა ვლადიმირის ტაძარი, სადაც დაბრძანებულია წმინდა ბარბარეს უხრწნელი ნაწილები.ძალიან მოვიხიბლე ქალაქ კიევის არქიტექტურით,უკრაინელების მასპინძლობით, მიწვეულნი ვიყავით ქალაქ კიევის მე-4 სახელმწიფო გიმნაზიაში, სადაც ბატონმა გარიმ საქართველო-უკრაინის მეგობრობის მედლით და საპატიო სიგელით დააჯილდოვა ამ გიმნაზიის ხელმძღვანელი, პრიფესორი ალექსანდრე პერეხეიდა, ეს საქმიანი ვიზიტი დაგვირგვინდა უკრაინული ტრადიციული ბანკეტით.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე „მაუპ”-ში ვიზიტმა, სადაც ბატონმა გარიმ ჩვენი დელეგაცია წარუდგინა აკადემიური საბჭოს წევრებს, სამომავლოდ დავგეგმეთ ბევრი ერთიანი პროექტი, გაცვლითი პროგრამები, დაგვაჯილდოვეს და გადმოგვცეს უამრავი საჩუქარი.

მართალია, მსოფლიოს შვიდი საოცრება სინამდვილეში არ მინახავს ,მაგრამ ამ საოცრებათა მაკეტებს გავეცანი ,,მაუპ’’-ის არქიტექტურულ მუზეუმში, გადავიღეთ უამრავი სამახსოვრო ფოტო, დავმეგობრდით ადგილობრივ სტუდენტებთან, რომლებთანაც დღემდე ვაგრძელებთ მიმოწერას.

ქალაქ კიევიდან გავემგზავრეთ ქალაქ ჩერნიგოვში,სადაც მასპინძლობა გაგვიწია სასტუმრო „ბრიანსკ“-მა, მინდა ვიამაყო, რომ ბატონი გარი ჩაფიძე გახლავთ ამ ქალაქის საპატიო მოქალაქე და ამ ქალაქში კიდევ ერთი სასწავლებლის დამფუძნებელი, რომელსაც ინსტიტუტის სტატუსი აქვს და რეიტინგით უკრაინაში ერთ-ერთი მოწინავეა. დაუსრულებლად შეიძლება ვისაუბრო უკრაინაში გატარებული დღეების შესახებ, რაც ჩემს მესიერებაში ყოველთვის ტკბილ მოგონებად დარჩება.

რომ არა ეს სასწავლებელი, ბატონი გარი ჩაფიძე, თამარ ჩხეიძე ქალაქ ჭიათურის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, თემის ხელმძღვანელი ანა საღირაშვილი და ყველა ის პედაგოგი, რომლებიც მუდამ ზრუნავენ თითოეული სტუდენტის ცოდნის მისაღებად – ამ წარმატებას ვერ მივაღწევდი! მადლობა უფალს ყველაფრისთვის!.. ეს იყო ცხადში ახდენილი სიზმარი!

მელანო სვანაძე
ქ. ჭიათურის სასწავლო ცენტრის,
სამედიცინო სპეციალობის
კურსდამთავრებული 2017წელი

- მე გავიმარჯვე!

ამ ორი სიტყვის მიღმა, ენით აღუწერელი სიხარული და უდიდესი ბედნიერებაა, დიახ საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. ლაგოდეხის არაფორმალური პროფესიული სასწავლო ცენტრის ბანკის ოპერატორის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტმა, ჩემს პედაგოგთან ერთად სტუდენტთა მეჩვიდმეტე სამეცნიერო კონფერენციისათვის დავამუშავე თემა – „მიკროფინანსირება და მისი მიზანი“ ,რომელმაც ქ. ლაგოდეხში, ჩვენს სასწავლო ცენტრში მოწონება დაიმსახურა და რამოდენიმე გამარჯვებულ სტუდენტთან ერთად, მიწვეული ვიყავი ქ. რუსთავის აკადემიურ ქალაქში, სტუდენტთა მეთვრამეტე სამეცნიერო კონფერენციის ფარგლებში, რომელშიც საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ოცდარვა რეგიონის წარმომადგენლობითი დელეგაციის 70-მდე სტუდენტი მონაწილეობდა, სადაც ჩემმა თემამ პირველობა არავის დაუთმო და – მე გავიმარჯვე!

სტუდენტთა კონფერენციის გამარჯვებულები, როგორც წესი, უკრაინაში მიემგზავრებიან თავიანთ პედაგოგთან ერთად, სადაც მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა აქტივობებში, საყურადღებოა რომ გამგზავრება-გამომგზავრების, სასტუმროს,კვების, გადაადგილების და საერთოდ, ყველა ფინანსურ მხარეს უკრაინის სახელმწიფო უზრუნველყოფს, ასე იყო ჩვენთან მიმართებაშიც, კიევში ჩემს პედაგოგ სოფიკო ტაბატაძესთან, ლაგოდეხის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროს ოთარ ხაზარაძესთან და დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად ინსტიტუტის რექტორის, აკადემიკოს გარი ჩაფიძის ხელმძღვანელობით გავემგზავრეთ.

ბატონი გარის შესახებ, ალბათ ცალკე უნდა აღვნიშნო, ის სიყვარული და პატივისცემა რომლითაც მიიღეს უკრაინელებმა, მერე ეს სითბო, თითოეულ ჩვენთაგანშიც გადმოიღვარა და ქართული დელეგაციის წევრობა, საერთაშორისო კონგრესზე მყოფი ყველა წევრისთვის სანატრელი გახდა... დავათვალიერეთ კიევი, მოვინახულეთ და გავეცანით კოლეჯების მუშაობის სპეციფიკას ჟიტომირის ოლქში, ვინიცასა და ჩერნიგოვის ოლქებში... უამრავი საინტერესო რამ ვინახულეთ მუზეუმებსა და კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრებში, ამიტომაც შთაბეჭდილებებით დახუნძლულნი დავბრუნდით საქართველოში და რაც მთავარია, მაქვს სიამაყის გრძნობა – მე გავიმარჯვე!

ნინო ქორთიევა,
ქ.ლაგოდეხის სასწავლო ცენტრის ბანკის
ოპერატორის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტი

ქ. კიევის პერსონალთა მართვის რეგიონალური აკადემია გიწვევთ სასწავლებლად 2019-2020 სასწავლო წლისათვის ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტურანტურაში

- ადმინისტრირება და მენეჯმენტი
- ჟურნალისტიკა
- სამართალმცოდნეობა
- პედაგოგიკა
- სოციალური პოლიტიკა
- საერთაშორისო დიპლომატია
- პოლიტოლოგია
- სამედიცინო და ფარმაცევტული მენეჯმენტი
- ინჟინერია
- პერსონალთა მართვა

სასწავლებელი აკრედიტირებულია!
ჩარიცხვა ეროვნული გამოცდების გარეშე!

მისამართი: ქ. რუსთავი; შევჩენკოს ქუჩა №5 (აკადემიური ქალაქი) კორპუსი 1; (ქ. კიევის პერსონალთა მართვის რეგიონალური აკადემის ქ. რუსთავის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრი) ტელ: (0341) 22-25-00

კურსდამთავრებულთათვის გაიცემა უკრაინის სახელმწიფო დიპლომი!

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირი, საქართველო-ამერიკის მეგობრობის ინსტიტუტი და ამერიკის წმინდა გიორგის უნივერსიტეტის პენსილვანიის შტატის პროფესიული ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას

9 და 12 კლასდამთავრებულთათვის

- ბაგა-ბაღის მასწავლებელი
- სკოლამდელ ბავშვთა აღმზრდელობითი ფსიქოლოგი
- ინგლისური ენის მასწავლებლის პედაგოგიკა
- კადრების მენეჯმენტი
- სკოლის მენეჯმენტი
- საერთაშორისო ბიზნესი
- საერთაშორისო იურისპრუდენცია
- სანოტარო საქმე

სწავლება სამწლიანია! სასწავლო გადასახადი წელიწადში 1000 ლარი!

გაიცემა საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ამერიკული დიპლომი!

მისამართი: ქ. რუსთავი, შევჩენკოს ქუჩა №5
(აკადემიური ქალაქი) კორპუსი №2 ტელ: (0341) 22 25 00; 25 37 00

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის

ბორტგამცილებელთა სკოლა

გიწვევთ ქ. ათენის კომპანია „მობილ აერ გრუპის“ ერთობლივი პროექტით

ბორტგამცილებელთა (სტიუარდესების) მოსამზადებლად!

რეალური დასაქმების პერსპექტივით, ჩარიცხვა მოხდება სპეციალური შერჩევით. სწავლის ხანგრძლივობა ერთი წელი!

სასწავლო კურსს უძღვებიან საბერძნეთის სამეცნიერო წრეების დოქტორები!

მთლიანი წლიური გადასახადი – 1500 ლარი!

იჩქარეთ, წელიწადში მხოლოდ 12 ბორტგამცილებლის გამოშვებაა შესაძლებელი!

მისამართი: ქ, რუსთავი, შევჩენკოს ქუჩა №5 (აკადემიური ქალაქი)
ტელეფონი: (0341) 22-25-00; 25-37-00; 25-39-00

საქართველო-უკრაინის სოციალური ურთიერთობათა ინსტიტუტის პროფესიული სწავლების ცენტრი

აცხადებს მიღებას 2019-2020-სალსწავლო წლისათვის

- სამკურნალო მასაჟი
- სპორტულ-გამაჯანსაღებელი მასაჟი
- სტილისტი
- კულინარი
- ბარმენი
- მზარეული
- მაგიდის დიზაინერი
- მკერავ დიზაინერი

სწავლის ვადა ერთი წელი!-სასწავლო კურსის გადასახადი 500 ლარი! კურსდამთავრებულები მიიღებენ საერთაშორისო დონის ორენოვან, ქართულ-ინგლისურ სერთიფიკატს!

საქართველო უკრაინის სოციალურ
ურთიერთობათა ინსტიტუტის სასწავლო ცენტრები
აცხადებს მიღებას
IX და XII კლასდამთავრებულთათვის,
ასევე მიღებიან X, XI, XII კლასის მოსწავლეები
სწავლისაგან მოუწყვეტლად
არაფორმალური პროფესიული განათლების ეგიდით
ეს ოქვენ
სტოლენტი ოქვენ
✓ კომპიუტერული ტექნოლოგიები
✓ დაცვა-პატრულირება
✓ გარემოს დაცვა
✓ კრიმინალისტი
✓ ბანკის ოპერატორი
✓ ფარმაცევტის თანაშემწე
✓ კბილის ტექნიკოსი
✓ სამკურნალო მცენარეების
დამამზადებელი
✓ ხილ-ბოსტნეულის
პირველადი გადამამუშავებელი
✓ ვეტერინარი
✓ ბაგა-ბაღის აღმზრდელი
✓ კორესპონდენტი
✓ გიდი, ტურიზმი
მისამართი:
ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №7
ქ. რუსთავი, შევჩენკოს ქუჩა №5
(აკადემიური ქალაქი)
ქ. აბაშა, აღმაშენებლის ქუჩა №141
ქ. ოზურგეთი, კვაჭალათას ქუჩა №5
ქ. ქუთაისი, ტ. ტაბიძის ქუჩა №2
ქ. ტყიბული, კოსტავას ქუჩა №1
ქ. თერჯოლა, აღმაშენებლის ქუჩა №3
ქ. ჭიათურა, ყაზბეგის ქუჩა №6
ქ. მარნეული, რუსთაველის ქუჩა №36
ქ. საბარეჯო, აღმაშენებლის ქუჩა №6
ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქუჩა №6
ქ. ლაგოდეხი, ვაშლოვანის ქუჩა №2
ქ. თელავი, ალაზნის ქუჩა №71
ქ. ახმეტა, რუსთაველის ქუჩა №9
კურსდამთავრებულები მიიღებენ სასწავლო პროგრამის
გავლის დამადასტურებელ სამეცნოვან დიპლომს!